სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 1.1.9/10/150

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო: 6 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობა**, წარმოდგენილი **გამგებლის ზაზა გაბუნიას სახით** (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „საპროექტო ჯგუფი"**, წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ტოროშელიძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის ვსელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს კანონის „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.10.2015 წლის №04/19728 თანხმობის წერილის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გზების მიმდინარე შეკეთების ასფალტისა და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით, ხარჯთაღრიცხვით, ესკიზით და საგზაო სამოსის კონსტრუქციით,** შესყიდვაზე (შემდგომში შესყიდვის ობიექტი), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

№	მომსახურების დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	ასფალტისა და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით, ხარჯთაღრიცხვით, ესკიზით და საგზაო სამოსის კონსტრუქციით.	კვ.მ	5000	0,40	2000
	სულ ჯამი				2000

2000,0 (ორი ათასი) ლარი

ყველა სავალდებულო გადასახადის ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „დღე", „კვირა", „თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.2 დანართი – ნებისმიერი დამატებითი მასალა (წერილობით შედგენილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. გასაწევი მომსახურება და პირობები

3.1. მომსახურება განხორციელდება ტექნიკური პირობების შესაბამისად:

3.1.1. შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტზე გასვლა, აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მიზნით საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა, შესაბამისი ესკიზის, საგზაო სამოსის კონსტრუქციის, ტექნიკური დავალების და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ტექნიკური დოკუმენტაციის გათვალისწინებით და დამკვეთისათვის გადაცემა, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარად), ასევე ელექტრონული ფორმით.

3.1.2. აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მართლზომიერად განხორციელების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ინფორმაციის მოპოვება და მათთან მიზნობრივი კოორდინირება.

3.1.3 შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

3.2 მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის 27 ნოემბრისა.**

3.3 გასაწევი მომსახურების (ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში) კონკრეტული მოცულობა, მომსახურების გაწევის კონკრეტული ობიექტი და ვადა შემსყიდველის მიერ ეცნობება მიმწოდებელს ეტაპობრივად;

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურება განხორციელდება ტექნიკური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
4.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შედეგად რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
4.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 2(ორი) სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რ-ის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი ბეჟან ხუციშვილი, გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლევან არჩვაძე.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირები.
7.3 მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფის დადებითი დასკვნა დეფექტური აქტისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის შესახებ.
7.4 ფასების ცხრილით განსაზღვრული მომსახურების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს ფაქტიურად გასაწევი მომსახურების გათვალისწინებით, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი შეთანხმების აქტი.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,

8.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 5%-ის ოდენობით. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 03%–ის ოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

10.3ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 წინამდებარე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მხარეებს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).
12.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფასები

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
14.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
14.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
17.4 ფიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს [illegible]

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე

19. სხვა პირობები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
19.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
19.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა

მის: ქ. თბილისი, სანზონა კორპ №16 მ/ტ
ს/კოდი: 200279527
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022

ტელ. +995 32-371-076

გამგებელი _____ **ზაზა გაბუნია**

მიმწოდებელი:

შპს „საპროექტო ჯგუფი“,

იურიდ. მის: ქ. თბილისი, კრუპსკაიას ქ.№35-ის მიმდებარედ
ს/კოდი: 400108860
სს „ლიბერთი ბანკი",
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE06LB 0113 1422 0283 1000
ტელ. 558-58-36-67

დირექტორი _____ **გიორგი ტოროშელიძე**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 04/19359
04/19728

„30" ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით სარმანიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განიხილა თქვენი 2015 წლის 26 ოქტომბრის N7/37929 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 26 ოქტომბერი, N04/19359) და 2015 წლის 30 ოქტომბრის N7/41288 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 30 ოქტომბერი, N04/19728) წერილები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაძლევთ წერილობითი თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა თოიძის ქ. N44-ში და ბუხაიძის ქ.N11-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის და მის საფუძველზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომლის სავარაუდო ღირებულებაა: თოიძის ქ. N44-ში - ჩამონგრეული კედლის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 200 ლარი და დაზიანებული კედლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 4039.51 ლარი; ბუხაიძის ქ.N11-ში - შენობის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 1000 ლარი და დაზიანებული კედლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 20133 ლარი;

67090/05
02.11.15

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე, ასფალტის და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების, ტექნიკური დავალებების, საგზაო სამოსის კონსტრუქციის და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომლის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 5000 კვ. მეტრს, ხოლო მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 2000 ლარს.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ნაძალადევის რაიონის გამგეობა

KA010153534269315

№46/40792 **29 / ოქტომბერი / 2015 წ.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილეს, ბატონ გიორგი სოლომონიას

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობასა და შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენს შორის 2015 წლის 15 ივნისის #1.1.9/30/101 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენი" ახორციელებს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ასფალტის საფარის შეკეთების სამუშაოებს. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენს" სრულად არ აუთვისებია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიზნით საჭიროა ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე მიეცეს ახალი ტექნიკური დავალება დეფექტური აქტების სახით.

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე დიდუბის დასახლების და კიდევ რამოდენიმე ქუჩას ესაჭიროება მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ვინაიდან ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის კონტრაქტორის (შპს „საპროექტო ჯგუფი") სრულად იქნა ათვისებული დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 15 მაისის #1.1.9/30/074 ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, გამგეობა მოკლებულია შესაძლებლობას მისცეს ახალი ტექნიკური დავალება დაზიანებული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამზადების თაობაზე. ხოლო დაზიანებული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების, ტექნიკური დავალებების, საგზაო სამოსის კონსტრუქციის და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების შესყიდვისათვის ახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში სატენდერო პროცედურების ვადებიდან გამომდინარე ვეღარ მოესწრება შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობასა და შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენს შორის 2015 წლის 15 ივნისის #1.1.9/30/101 ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ათვისება და შესაბამისად, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაცია, რაც მიმდინარე სეზონის გათვალისწინების არის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი.

ზემოაღნიშნულისა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ შექმნილია

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარება, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გთხოვთ, შეუთანხმოთ უფლებამოსილ ორგანოს, ნაძალადევის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე ასფალტის და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების, ტექნიკური დავალებების, საგზაო სამოსის კონსტრუქციის და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (შესყიდვის მაქსიმალური ღირებულება 2000 ლარი, შესყიდვის მოცულობა დაახლოებით 5000 კვ.მეტრი).

პატივისცემით,

გამგებელი ზაზა გაბუნია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი

6 ნოემბერი 2015 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გამარტივებული შესყიდვის შედეგად 2015 წლის „6“ ნოემბერს გაფორმებული №1.1.9/10/150 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გზების მიმდინარე შეკეთების ასფალტისა და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მიმდინარეობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

ზ. გაბუნია

ბ. ხუციშვილი